საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო
High Council of Justice of Georgia

№ 1524 -01

"02" 08 2024 წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ შალვა პაპუაშვილი

ბატონო შალვა,

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

განმცხადებელთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2024 წლის 21 ივნისის ჩათვლით. შერჩევის პროცედურაში განაცხადი შეიტანა 8 კონკურსანტმა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/53 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა 7 მათგანი, ხოლო ერთმა კონკურსანტმა მოხსნა კანდიდატურა.

კანდიდატების შეფასების მიზნით მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კანდიდატის მიმართ განხორციელდა კანონის შესაბამისად დადგენილი პროცედურები, მოძიებულ იქნა ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია მოძიებისა და დამუშავების შემდგომ შესასწავლად გადაეცა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეულ წევრს.

2024 წლის 17 და 18 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა 5 კანდიდატს. გასაუბრების ეტაპზე ორმა კონკურსანტმა მოხსნა კანდიდატურა. გასაუბრების ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ კანდიდატს არ მოუთხოვია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რომელიმე წევრის აცილება, ასევე არ ყოფილა თვითაცილების შემთხვევა. საჯარო მოსმენის პროცესი გადაიცემოდა (პირდაპირი ტრანსლირებით) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს Youtube-ის არხის მეშვეობით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების საფუძველზე საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრების მიერ შევსებულ იქნა შეფასების ფურცლები და შეფასების დასაბუთებები, რომლებიც სხდომამდე გამოქვეყნდა საბჭოს ვებ-გვერდზე შემფასებელთა ვინაობის მითითებით.

აღნიშნული შეფასების და დასაბუთების პროცესში მონაწილეობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრი.

2024 წლის 22 ივლისის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის

0144, თბილისი, ბოჯორმის ქ. 12, ტელ / ფაქსი: 227 31 00, www.hcoj.gov.ge
12, Bochorma st, 0144 Tbilisi, Georgia Tel/ Fax: +99532 227 31 00, council@hcoj.gov.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-8532/24
"02" 08 2024 წ. ფურცელი 23 + 1 ბარეკ

შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/75 განკარგულებით შემდგომ ეტაპზე გადაყვანილ იქნა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი ნიკოლოზ მარსაგიშვილი. აღნიშნული განკარგულება არ გასაჩივრებულა.

2024 წლის პირველ აგვისტოს გამართულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ღია სხდომაზე, საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით, კენჭი ეყარა კანდიდატ ნიკოლოზ მარსაგიშვილს. კანდიდატმა მოიპოვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის (13 წევრი) მხარდაჭერა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარმოგიდგენთ ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურას.

გიგზავნით მის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ აღნიშნული კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 და მე-13 პუნქტების შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას. ამასთან, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://judicialcandidates.hcoj.gov.ge

დანართი 1: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის კანდიდატის წარდგენის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის პირველი აგვისტოს №4 წარდგინება.

დანართი 2: ნ. მარსაგიშვილის შეფასების ფურცლები, შეფასების დასაბუთებები, კენჭისყრის დასაბუთებები და თანდართული დოკუმენტები (476 ფურცელი).

პატივისცემით,

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე